საქართველო
GEORGIA

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერიის ადმინისტრაცია

RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL ADMINISTRATION

№01/6902 02.05 2017წ.

მოქალაქე: მანონი ბოკუჩავას

ქალბატონო მანონი,

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წლის 18 აპრილს შემოსული თქვენი N9081/02 წერილის პასუხად, რომლის თანახმადაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციას, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ:

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სატელეფონო მომსახურებისათვის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული ხარჯის საერთო რაოდენობამ შეადგინა 41644,37 ლარი (კორპორატიული ნომრების საერთო რაოდენობა - 116 აბონენტი, სატელეფონო მომსახურების ხარჯი - 27139,11 ლარი; საქალაქთაშორისო ტელეფონის ნომრების საერთო რაოდენობა 75 - აბონენტი, სატელეფონო მომსახურების ხარჯი - 14505,26 ლარი), ხოლო საკრებულოს - 7456,94 ლარი (კორპორატიული ნომრების საერთო რაოდენობა - 30 აბონენტი, სატელეფონო მომსახურების ხარჯი - 4035,08 ლარი; საქალაქთაშორისო ტელეფონის ნომრების საერთო რაოდენობა 25 - აბონენტი, სატელეფონო მომსახურების ხარჯი 3421,86 ლარი).

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სარგებლობაში არსებული ავტომობილებისათვის განკუთვნილი საწვავის ღირებულების საერთო რაოდენობამ შეადგინა 137350 ლარი, საკრებულოს სარგებლობაში არსებული ავტომობილებისათვის - 43533 ლარი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ 2016 წლის მდგომარეობით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ემსახურებოდა საკუთრებაში არსებული - 11 ავტომობილი, ხოლო საჯარო მოსამსახურეების სარგებლობაში არსებული - 48 ავტომობილი. საკრებულოს სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ემსახურებოდა საკუთრებაში არსებული - 4 ავტომობილი, ხოლო საჯარო მოსამსახურეების სარგებლობაში არსებული - 11 ავტომობილი. აღნიშნული ავტომობილების მიმდინარე რემონტის (სავალი ნაწილების შეცვლა, ზეთის გამოცვლა, სამუხრუჭე ხუნდების შეცლა და სხვა) ხარჯმა მითითებული დროის მონაკვეთში შეადგინა: მერია - 29974 ლარი, საკრებულო - 14660 ლარი.

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან საკანცელარიო ნივთებზე გამოყოფილი თანხის სერთო რაოდენობამ შეადგინა: მერია - 22384,65 ლარი, საკრებულო - 7528,25 ლარი.

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე პრემიის სახით გაცემული თანხის საერთო რაოდენობამ შეადგინა 728980 ლარი (საშუალოდ 216 საჯარო მოხელე), ხოლო საკრებულოში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე - 181520 ლარი (საშუალოდ 40 საჯარო მოხელე).

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე დანამატის სახით გაცემული თანხის საერთო რაოდენობამ

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 341) 22 47 74; ფაქსი: (+995 341) 22 47 74
ელ-ფოსტა: info@rustavi.ge, ვებ გვერდი: www.rustavi.ge
20 Kostava, Georgia, Rustavi, 3700, Tel: (+995 341) 22 47 74; Fax: (+995 341) 22 47 74
E-mail: info@rustavi.ge, Web: www.rustavi.ge

შეადგინა 395668 ლარი, ხოლო საკრებულოში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე - 198930 ლარი, ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ დანამატის პროცენტული ოდენობა განისაზღვრება თანამშრომელთა ზეგანაკვეთური მუშაობიდან გამომდინარე.

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე ხელფასის სახით გაცემული თანხის საერთო რაოდენობამ შეადგინა 2 091 882 ლარი, ხოლო საკრებულოში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე - 639 563 ლარი.

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული საჯარო მოხელეების მივლინებისათვის დახარჯული თანხების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 36424 ლარი, საკრებულო - 53863 ლარი.

წერილის მე-7 და მე-8 პუნქტებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილია ინფორმაცია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებში დასაქმებულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობისა და მათზე გაწეული სახელფასო ხარჯების შესახებ, წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი: ,,2" ფურცელი

პატივისცემით,

ნინო ნიკოლავა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის უფროსი